

"24 საათის" ფიქციანი ნომერი
***2424**

ცხინვალის ტერაქტი
A2



პრესომბუდსმენი
A3



"საუკუნის
პროცესიდან"
სამუდამო
პატიმრობამდე
A6



რაისის ვიზიტი
ასტანაში
A7



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

ევროკავშირი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უნდა შევიდეს

ლევონ ზ. სიტიჩი
სპეციალურად „24 საათისთვის“

ნიშნავს თუ არა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ("ესმ") საქართველოში განთავსება დასასრულის დასაწყისს ანუ რუსეთის ოკუპაციის დასასრულის დასაწყისს? რისი თქმაც დღეს დარწმუნებით შეგვიძლია, არის ის, რომ "ესმ"-ის ჩამოსვლა ორ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ნაბიჯს ნიშნავს. პირველი - ეს საქართველოზე რუსეთის მიერ აგვისტოში განხორციელებული თავდასხმის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების (ზოგიერთის მაინც) სახლებში დაბრუნების საშუალებას იძლევა. მეორე - ეს ამზადებს საფუძველს, რათა რუსეთმა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, ომამდე არსებულ პოზიციებზე თავისი ჯარების გაყენებასთან დაკავშირებით. ამისკენ, ["ესმ"-ს მიერ] გასავლელი გზა სავსეა წინააღმდეგობით და ნაღმებით, რასაც დასავლელი დიპლომატები ყველაზე მეტად უნდა უფროთხოვნენ.

ბაზრქაძეაბა A4 გვერდზე



ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გზა სავსეა წინააღმდეგობით და ნაღმებით.

AFP © 2008

მსოფლიო ჩვენი!

გიგა ბურასაშვილი

პეკინის ოლიმპიური თამაშების შემდეგ საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრებს მორიგი გამორჩეული წარმატება მოუხდა, თანაც ისეთის, რომელიც მსოფლიო გუნდურ ჩემპიონატადაა ცნობილი. ამასთან იქ, სადაც ძიუდო უმაღლეს საფეხურზე უკვეთ აყვანილი. საქართველოს ძიუდოსტთა ნაკრებმა იაპონიის შუაგულში, ტოკიოში დაგეგმულ ტატამზე უძლიერესი გუნდის სახელი მოიპოვა.

ტოკიოში მსოფლიო გუნდური ჩემპიონატის მოგება საქართველოს ნაკრებისთვის იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა რამდენიმე წლის პირველი ნომერი უფრო მძიმე წონით კატეგორიაში გაიყვანა ტატამზე. ჩვეულ წონაში იასპარეზებს მხოლოდ ნაკრების ყველაზე გამოცდილმა წევრმა ნესტორ ხერგიანმა (60 კგ.) და ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ვარლამ ლიპარტილიანმა (90).

ბაზრქაძეაბა A13 გვერდზე



ქართველმა ძიუდოსტებმა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ზედიზედ მეორედ მოიგეს.

AFP © 2008

რუსეთის ახალი მემარჯვენეები

ხათუნა ბაბიჯი

16 ნოემბერს რუსეთში ახალი პარტიის პირველი ყრილობა ჩატარდება, რომელშიც “მემარჯვენე ძალების კავშირი”, პარტია “გრანდ-სკაია სილა” და რუსეთის “დემოკრატიული პარტია” გაერთიანდებიან. ახალი პოლიტიკური ძალის თანათამაგვამარეებია, “მემარჯვენე ძალების კავშირი” თავმჯდომარე ლეონიდ გოზმანთან ერთად, სავარაუდოდ, ბორის ტიტოვი და გიორგი ბოვიტი იქნებიან. რუსული პრესისა და რიგი პოლიტოლოგების აზრით, მემარჯვენე ოპოზიციური პარტიის შექმნის პროექტს აქტიურად უჭერს მხარს კრემლი.

რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი დემოკრატიული პარტიის “მემარჯვენე ძალების კავშირის” ლიდერებმა ხუთშაბათს კენჭისყრაზე პარტიის თვითლიკვიდაცის დაუჭირეს მხარი და 15 ნოემბერს პირველი ყრილობა დანიშნეს, სადაც ძველი პარტიის თვითლიკვიდაცია იურიდიულად გაფორმდება. მათი თქმით, ეს ქვეყნის სულ უფრო მზარდ ავტორიტარულ სისტემაში საკუთარი პროგრამის განხორციელების ერთადერთი საშუალებაა.

ახლა კი თვალისთვის ისტორიასაც გადავავლოთ – “მემარჯვენე ძალების კავშირის” სახელი პირველად 1999 წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე გაისმა. იმ დროს კავშირში ეგორ გაიდარის, ბორის ნემცოვის, ირინა ხაკამადას, სერგეი კირიენკოსა და კონსტანტინე ტიტოვის პარტიები გაერთიანდნენ – საერთო ჯამში, დაახლოებით, ცხრა ორგანიზაცია. მემარჯვენე კოალიციის პირველი ყრილობაზე ლიდერად სერგეი კირიენკო აირჩიეს. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში მემარჯვენეებმა ხმათა, დაახლოებით, 9 პროცენტი მოაგროვეს და სიაში მეოთხე ადგილი დაიკავეს. მოგვიანებით კირიენკო კარიერული აღმასვლის შემდეგ ნემცოვმა შეცვალა, ხოლო პარტიაში მეორე პირი ირინა ხაკამადა გახდა.

ბორის ნემცოვმა ჯერ კიდევ 1998 წელს ყურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ “დემოკრატიული ორიენტაციის ადამიანები, დამოუკიდებლად იმისა, არიან თუ არა გაერთიანებულნი რომელიმე ორგანიზაციაში, უახლოეს მომავალში აუცილებლად აღმოჩნდებიან ოპოზიციაში.” 10 წლის წინ ნათქვამი სიტყვები, როგორც ჩანს, დღესაც აქტუალურია: შექმნ

ის დღიდან “მემარჯვენე ძალება კავშირი” ყოველთვის ოპოზიციის იყო - ხან შესუსტებული პოზიციით და ხანაც აქტიურით. დიდი ხანია, ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მემარჯვენეებს არა მარტო ფორმატის შეცვლა, არამედ პოლიტიკური ტაქტიკისა თუ სტრატეგიის ცვლილებაც ესაჭიროებათ. ცვლილების აუცილებლობა კი განსაკუთრებით 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გახდა საგრძნობი, როცა მემარჯვენეები პარლამენტს გარეთ დარჩნენ; იგივე განმეორდა გასულ წელსაც.

წარსულის გაკვეთილების გათვალისწინებით, მემარჯვენეები ამჯერად უკვე მართლაც აპირებენ ცვლილებას - სტრატეგიისას თუ არა, ფორმატისას მაინც.

“ზოგიერთი ამბობს, რომ ჩვენ არ გვაქვს კრემლთან ასეთ გარიგებაზე წასვლის მორალური უფლება მას შემდეგ, რაც მისმა მესვეურებმა გააკეთეს. თუმცა, თუ ქვეყანაში ცვლილება გასურს, შეუძლებელია რეალობის იგნორირება, დღევანდელი რეალობა კი პუტინის კრემლია. მე, როგორც მოქალაქის, ეს არ მომწონს, მაგრამ ამით არაფერი იცვლება,” - აღნიშნავს გოზმანი.

პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის ექსპერტ ალექსეი ზუდინის აზრით, არავის ეეჭვება, რომ ახალი პარტია კრემლთან დაახლოებული იქნება.

“საუბრებში ყოველთვის დაიჭერთ ერთგვარ ირონიულ ქვეტექსტებს, რომლებიც ერთი უბრალო მიზეზით ჩნდება: მემარჯვენეები რუსეთში ისტორიულად წარმოადგენენ იმ ძალას, რომელიც ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული საპრეზიდენტო ძალაუფლებასთან. ასეთია მისი გენეზისი,” - მიიჩნევს ზუდინი.

ზუდინისგან განსხვავებით ახალი პარტიის ფორმირებას უფრო ოპტიმისტურად უყურებს სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მსოფლიო პოლიტიკის კათედრის გამგე ვატანია იაგია, რომელსაც მიანია, რომ “ახალი მემარჯვენეები” მართლაც იქნება ხელისუფლების ოპოზიცია.

გავლენიანი ამერიკული გამოცემა “ვაშინგტონ პოსტის” თანახმად კი, “მემარჯვენე ძალება კავშირის” გადანაცვლება მარცხის სამსუხარო აღიარება თუ არა, პარტიის ღია კაპიტულაციაა. ეს ნაბიჯი ალ-

ბათ კიდევ უფრო გაართულებს ისედაც დაქუცმაცებული და ალყაში მოქცეული დემოკრატიული ოპოზიციის მცდელობას, წინააღმდეგობა გაუწიოს პუტინს.

გოზმანის თქმით, რიგ მალაჩინოსნებთან საიდუმლო ერთგვანად დაწესება პარტიის გაუქმება და კრემლის მოკავშირეებთან ერთად ახლის შექმნა. კრემლის მალაჩინოსნებმა გამოთქვეს სურვილი, რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში ლიბერალური პოლიტიკური და ეკონომიკური შეხედულებები გაჩნდეს. აღნიშნული მოლაპარაკებების შემდეგ ძველი პარტია დატოვა ნიკიტა ბელიშინა. მისი თქმით, კრემლს მარიონეტის შექმნა სურს, რომელსაც გააკონტროლებს და თან მრავალპარტიული სისტემის იმიტაციაც გამოუვა. **“მე არ მსურს ამ სპექტაკლში მონაწილეობა,”** - განაცხადა ნიკიტა ბელიშინა. მისი თქმით, პარტიის ამგვარ გადანაცვლებას კიდევ ერთმა ფაქტორმა იქონია გავლენა, კერძოდ, პარტიას ხელისუფლებისთვის გასული წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიაში სატელევიზიო რეკლამაზე დახარჯული 6 მლნ აშშ დოლარი მარტებს.

რაისის ვიზიტი ასტანაში

აშშ-ყაზახეთის ენერგეტიკული თანამშრომლობა სხვა ქვეყნების ინტერესებს არ უპირისპირდება

ხათუნა ბაბიჯი

ინდოეთის შემდეგ შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი კვირას ერთდღიანი ოფიციალური ვიზიტით ყაზახეთს ეწვია, სადაც ენერგეტიკის სფეროში ორი ქვეყნის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. კონდოლიზა რაისის თქმით, ამ სფეროში შეერთებული შტატებისა და ყაზახეთის თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ არ არის მიმართული.

საინფორმაციო სააგენტო “ფრანს პრესის” ცნობით, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯერ საგარეო უწყების ხელმძღვანელ მარატ ტაჟინის შეხვდა, მოგვიანებით კი პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევთან და პრემიერ-მინისტრ კარიმ მასიმოვთან გამართა მოლაპარაკებები.

“ყაზახეთთან ოფიციალური ვაშინგტონის ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები გამჭვირვალობის პრინციპებს ემყარება. ყაზახეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელთან შეხვედრის შემდეგ შეიძლება დასკვნის სახით აღინიშნოს, რომ ენერგეტიკის სფეროში ყაზახეთთან მეგობრული ურთიერთობები-



კონდოლიზა რაისი და მისი ყაზახი კოლეგა მარატ ტაჟინი.

ით არც კონკურენციას ვუნვეთ სხვა ქვეყანას და არც მეტოქეობას. ყაზახეთს მეზობლებთან, როგორც ნებს და რიგია, შესანიშნავი ურთიერთობები აქვს,” - განაცხადა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მარატ ტაჟინთან მოლაპარაკებების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე.

მისი თქმით, ყაზახეთს კარგი საქმიანი ურთიერთობები აქვს ამერიკულ კომპანიებთან, რაც ურთიერთპატივისცემაზე, გამჭვირვალობასა და ცენტრალური აზიის რეგიონის უფრო მეტად განვითარების სურვილს ემყარება.

შეხვედრის შემდეგ, ენერგეტიკის სფეროში ორი ქვეყნის თანამშ-

რომლობაზე ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარატ ტაჟინმაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ ურთიერთობებს გაფორმებული ხელშეკრულებები უდევს საფუძვლად.

“ამ სფეროში თანამშრომლობა წინასწარ შეთანხმებული გეგმით გაგრძელდება,” - განაცხადა ტაჟინმა.

ყაზახეთის პრეზიდენტთან საუბარი კი შეეხო აშშ-ყაზახეთის სტრატეგიულ პარტნიორობას, მათ შორის - უსაფრთხოებისა და ენერგეტიკის სფეროში, სამომავლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას ყაზახეთში და ასევე მის გადამწყვეტ როლს რეგიონული ლიდერის რანგში.

პუტინის გამაზიარებელი ბროზნოპი

კვირას ჩეჩნეთის დედაქალაქში აღდგენილ მთავარ გამაზირს სახელწოდება შეეცვალა - აქ მდებარე შენობებს ამიერიდან, “გამაზიარების” ნაცვლად, ვლადიმირ ვლადიმირის ძე პუტინის სახელი დაამუშვენებს.

გამაზირისთვის სახელის გადარქმევის ბრძანებას ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა კვირას მოაწერა ხელი და ახალი აბრებიც

ფასადებზე იმავე დღეს გამოჩნდა.

“ამ ფორმით აღნიშნავთ პუტინის წვლილს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეკონომიკის აღდგენასა და ჩეჩნეთის რესპუბლიკის სოციალურ სფეროში,” - განაცხადა საინფორმაციო სააგენტო “ინტერფაქსთან” საუბარში გროზნოს მერმა მუსლიმ ხუჩიემა.

იმავე დღეს ახმადა კადიროვის

სახელობის მოედანზე, საიდანაც უკვე პუტინის სახელობის გამაზირი იწყება, გროზნოსა და მიმდებარე რაიონების ათიათასობით მცხოვრები შეიკრიბა, რათა ახმადა კადიროვის მონუმენტი ყვავილებით შეემკობთ. პროცესიაში ჩეჩნეთის რესპუბლიკის, სამხრეთ ფედერალური ოლქის რეგიონებისა და ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონების ხელმძღვანელი

პირებიც მონაწილეობდნენ. ყოფილი “გამაზიარების” გამაზირისთვის რუსეთის ექს-პრეზიდენტისა და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის სახელის მიწების ოფიციალური ცერემონია ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნითელი ლენტის გაჭრით გახსნა. მოგვიანებით ცერემონიის ყველა მონაწილემ გამაზირზე ფეხით გაისეირნა საკონცერტო-თე-

ატრალური დარბაზისკენ, სადაც ჩეჩნეთსა და რუსეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბების 420-ე წლისთავის აღსანიშნავი კონცერტი გაიმართა.

საზეიმოდ დღე კი ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რამზან კადიროვის მიერ სტუმრების პატივსაცემად გამართული მიღებით დასრულდა.



ვადიანი ანაბარი ბანკ "რესპუბლიკაში"

დროს თქვენ აკონტროლებთ



ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიოთა ჟანარალი

**ბანკი "რესპუბლიკაში" ვაღიან ანაბარზე თანხის განთავსებისას
თქვენ:**

- იღებთ საპროცენტო სარგებელს თქვენთვის სასურველ დროს:
 - ერთბაშად: ანაბრის გახსნისას ან ანაბრის ვადის ბოლოს
 - ნაწილ-ნაწილ: ყოველთვიურად, ყოველქვარტალურად ან ყოველწლიურად
- იღებთ ყველაზე მაღალ საპროცენტო სარგებელს ანაბარზე
- ხდებით მსოფლიო საბანკო ჯგუფ "სოსიეტე ჟენერალის" პატივცემული მენაბრე
- გაქვთ ანაბრის ვადის ფართო არჩევანი

ვაღიანი ანაბრის გასახსნელად ენვიეთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს:

თბილისის ფილიალების ქსელი			რეგიონების ფილიალების ქსელი		
სათავო ოფისი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555	ქუთაისის ფილიალი	გრიშაშვილის ქ. 6	8(231) 58888
ცენტრალური ფილიალი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555	ბათუმის ფილიალი	ქუთაისის ქ. 6	(888 222) 32810
დელისის ფილიალი	ალ. ყაზბეგის გამზ. 47	312161	ბათუმის 24 საათიანი ფილიალი	გოგებაშვილის ქ.24	(888 222) 759 26
სადგურის ფილიალი	რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია	910600	სამტრედიის ფილიალი	რაზმაძის ქ. 2	8(211) 21353
დიღუბის ფილიალი	წერეთლის გამზ. 10	345556	ზუგდიდის ფილიალი	ზვ. გამსახურდიას გამზ. 34	8(215) 50008
ჰეიუნის ფილიალი	ჰეიუნის გამზ. 28	433355	რუსთავის ფილიალი	მეგობრობის გამზ. 20	8(24) 12 55 55
გლდანის ფილიალი	ხიზანიშვილის ქ. 20	590550	ფოთის ფილიალი	აღმაშენებლის ქ. 50	8(293) 7 00 87
ისნის ფილიალი	ნავთლუღის ქ. 6/2	243737	თელავის ფილიალი	მარჯანიშვილის ქ.4	8(250) 70040
ფალიაშვილის ფილიალი	ფალიაშვილის ქ. 33ა	912237			
ჭავჭავაძის 24 საათიანი ფილიალი	ჭავჭავაძის გამზ. 13	925555			
აღმაშენებლის ფილიალი	აღმაშენებლის გამზ. 112	243585			

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში:

(8 22) 92 55 55

www.republic.ge



ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

ლიტერატურა

„TASCHEN“- ყველაზე პოპულარული გამოცემლობა

თამარ კიხნავალიძე

ბოლო რამდენიმე წელი რაც საქართველოში წიგნის ბიზნესი ამოქმედდა. რამდენად მომგებიანია ეს ნაშრომები, რთული სათქმელია. ერთი კი ცხადია, თბილისში გახსნილ მაღაზიებში ლიტერატურის უსახური ნიმუშები თანდათან მაღალპოლიგრაფიულმა გამოცემებმა დაჩრდილა.

მკითხველისა და მყიდველის ინტერესების გათვალისწინებით გამოცემული ლიტერატურის პარალელურად, გამოცემლებმა მთარგმლებთან თანამშრომლობა განახლეს და საინტერესო ნიმუშებიც შემოგვთავაზეს.

საზოგადოების წიგნსა და „ემობრუნების“ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს წიგნის გამოცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ ყოველწლიურად ორგანიზებული წიგნის ბაზრობა, სადაც ქართულსა და ჯერ ისევე უცხოური გამოცემები სჭარბობს. მათ შორის კი განსაკუთრებით პოპულარულია მსოფლიოში სახელგანთქმული „TASCHEN“-ის პროდუქცია. აქვე ვაღიარებ იმასაც, რომ პირადად მე რამდენიმე წელია ვცდილობ „TASCHEN“-ის ექსკლუზიური გამოცემა, სანიმუშოდ დასურათებული „JAZZ“ შევიძინო. მისი ფასი ყოველწლიურად კლებულობს და იმედი მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს ამ წიგნს ხელში „ჩაიგვებ“. ამის შესაძლებლობას კი ვიცი მომცემს გამოცემლობა, რომელმაც სახელი მაღალპოლიგრაფიული ალბომების დიდი ტირაჟითა და დაბალი ფასებით მოიპოვა. „TASCHEN“-ის დამაარსებელმა, როგორც ჩანს, საუკეთესოდ იცის თუ როგორ დაინტერესოს შორეულ საქართველოში მცხოვრები მკითხველიც კი.



„TASCHEN“-ის მფლობელმა წიგნი მასობრივ პროდუქტად აქცია და ხელმისაწვდომი ნებისმიერი მსურველისთვის გახადა. ამ ადამიანს ბენედიქტ ტაშენი ჰქვია. მას „ექსტრემალურ“ გამოცემებსაც ეძახიან. „TASCHEN“-ის პროდუქცია მრავალფეროვანია. პორნოგრაფიული გამოცემების გვერდით, სასტუმროების არქიტექტურის, ლენე რიფენშტალის ფოტოებისა და ანტიკური ვაზების კოლექციის ალბომებსაც წააწყდებით. აღარაფერს ვამბობ სახვითი ხელოვნების აღიარებული ავტორების შემოქმედების გამოცემებზე. გამოცემლობა „TASCHEN“-ის ისტორია 1980 წელს დაიწყო. 18 წლის ბენედიქტ ტაშენმა კიოლოში გამოცემლობის მოწყობა კომიქსების გამოსაშვებად გადაწყვიტა. გამოცემლობამ წარმატება მხოლოდ 4 წლის შემდეგ მოიპოვა, როდესაც მან

აშშ-ში, ბელგიელი სურეალისტის - რენე მაგრიტის 40 ათასი ალბომი (თითო ერთ დოლარად) შეისყიდა და მისი სარეალიზაციო ფასი ექვსჯერ გაზარდა. „ჩვენ საინტერესო ავტორების ალბომების შესყიდვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით დავიწყეთ. „TASCHEN“-ის გამოჩენამდე მათ, საკმაოდ მისაღები ფასების მოუხდავად, მყიდველის დაინტერესება არ გამოუწყვეია“, - იხსენებს ბენედიქტ ტაშენი, რომლის ინიციატივასაც წიგნით მოვაჭრეები ძალიან კრიტიკულად შეხვდნენ. თუმცა, საბოლოო სიტყვა მაინც მკითხველმა თქვა. მაღალი ხარისხის ალბომების დაბალ ფასში შექმნის შესაძლებლობამ განსაზღვრა ის, რომ თაშენის მიერ შესყიდული წიგნები სულ რამდენიმე კვირაში გაიყიდა. მას შემდეგ გამოცემლობა „TASCHEN“-ს ალბომების დაბალ ფა-

სში გაყიდვაში ბადალი არ ჰყავს. მისი გამოცემების ნახვის საშუალება მსოფლიოს ყველაზე მიყრუებულ კუთხეშიც კი მოგეცემათ. „TASCHEN“-ის საფორმო მაღაზიები გახსნილია ტოკიოში, ლოს-ანჯელესსა და პარიზში. გამოცემლობა წიგნებს სამ ენაზე უშვებს და მისი ასორტიმენტი დიდი ხანია არ შემოიფარგლება წიგნებით ხელოვნებაზე... ასევე, შეხვდებით გზამკვლელებს „TASCHEN“-ისგან, ერთობელ ლიტერატურას, ბექდურ პროდუქციას „Life Style“-ის („ცხოვრების წესი“) თემებზე. პროფესიონალებს „TASCHEN“-ის გამოცემათა ბექდურ ხარისხზე „გამოვიტყა“ ცხადია შეუძლიათ, მაგრამ „TASCHEN“-ი მოყვარულთა მოთხოვნებს ნამდვილად პასუხობს, ბენედიქტ ტაშენი ხომ „ექსტრემალურ“ რედაქტორად არის მიჩნეული, აითვისა რა მსოფლიოში წიგნების ყველაზე იაფად გამოცემის „ტექნიკა“, მან ახალი პროექტი წამოიწყო, რომელიც ყველაზე ძვირადღირებულს, ექსკლუზიური წიგნების გამოცემას ითვალისწინებდა. მაგალითად, 5 წლის წინ გამოცემლობამ ჰელმუტ ნიუტონის ფოტოების ალბომი - „სუმი“ გამოუშვა. მისი სიმალე მეტრს შეადგენდა, იწონდა 30 კილოგრამს და 3 ათას ევროდ იყო შეფასებული. თუმცა, კოლექციონერები ვერც წიგნის ზომებმა დაახანია და ვერც ფასმა. გამოცემიდან რამდენიმე დღის შემდეგ, „სუმი“-ს ტირაჟი მთლიანად შეისყიდეს და თუ მისი შექმნა გასურთ, კოლექციონერებს უნდა მიმართოთ და თან 5 ათასი ევროც იქონიოთ. ცხადია, ასეთ იშვიათობას თარიღზე ვერ დადებთ. ეს გამოცემა ბიბლიოფილების დიზაინის ელემენტად იქცა. კოლექციონერების ექსკლუზიური გამოცემებით დაინტერესების მიუხედავად, ბენედიქტ ტაშენი გათვლ-

ას წიგნების მასიურ ტირაჟირებაზე აკეთებს. მაგალითად, არსებობის საიუბილეო 25 წლისთავის აღსანიშნავად, „TASCHEN“-მა 25 საუკეთესო გამოცემის თითოეული ეგზემპლარი მხოლოდ 9.99 ევროდ გაყიდა. მოგვიანებით კი, იშვიათობების მოყვარულებიც დაინტერესა 2007 წლის ოქტომბერში, უდიდეს მოდელიორზე - ვალენტინოზე გამოცემული წიგნით. მისი 2 ათასი ეგზემპლარი შეფუთული გახლდათ ყუთში, რომელიც, ისევე როგორც გარეკანი, აბრეშუმის ნაჭრით იყო გადაკრული. „TASCHEN“-ის სკანდალურ გამოცემებს რაც შეეხება, გამოცემლობამ, მას შემდეგ რაც წარმატებით „გაასაღა“ მის მიერ გამოშვებული წიგნი - „The Big Book of Breast“ („ძუძუების დიდი წიგნი“), 2008 წელს „The Big Penis Book“-იც („დიდი ფალოსების წიგნი“) გამოსცა. ამ უკანასკნელში ცნობილი ფოტოგრაფების ნამუშევრებია წარმოდგენილი, ისინი მამაკაცთა ღირსებებს შეუზღუდავად წარმოაჩენენ. „საინტერესო“ გამოცემა პრეზენტაციისას დაიტაცეს. მყიდველს ავტოგრაფები პორნო ვარსკვლავმა - ჩადა ხანტამ ჩამოურიგა, წიგნის ყდა სწორედ მისმა ფოტომ „დაამშვენა“. სკანდალური და ვიზუალური გამოჩენილი გამოცემების გარდა, „TASCHEN“-ის პროდუქცია მკითხველს ცნობილი რედაქტორების მიერ შედგენილი, საინტერესოდ და მრავალად ილუსტრირებული, ცოცხლად დაწერილი ტექსტით ხიბლავს. მათში თავმოყრილია ხელოვანთა ცხოვრებისა და შემოქმედების ქრონოლოგია, ბიოგრაფიული მონაცემები და ფოტომენტური ფოტომასალა. „TASCHEN“-ის გამოცემები ხშირად სახელმძღვანელო კატალოგის ფუნქციასაც ასრულებს.

„მედიანას მარბალიტები“, რას მოუტანს რომანი ავტორს?

თამაზ სამსონაძე

შერი ჯონის ნოემბერში მკითხველისგან საკუთარ განაჩენს ელის...

მწერალ სალმან რაშდის ისტორია მეორდება. შეგახსენებთ, რომ წიგნმა „სატანური ლექსები“ მწერალს მუსულმანური სამყაროს სიძულვილი მოუტანა, რის შედეგადაც რუშდი დიდი ხნის მანძილზე ემალებოდა ყველა მუსულმანს, რადგან თითოეული მათგანი სკანდალური მწერლისათვის პოტენციური მკვლელად ითვლებოდა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინ დიდ ბრიტანეთში თითქმის იგივე ისტორია განმეორდა, თუმცა ამ შემთხვევაში პოტენციური მკვლელები და მთავარი სამიზნე სულ სხვა პიროვნებები აღმოჩნდნენ. მსხვერპლი, პროფესიონალი ჟურნალისტი, თუმცა მოწოდებით მწერალი შერი ჯონის აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ მისი რომანი ჯერ არ გამოქვეყნებულა. დაიბეჭდა მხოლოდ ერთი რეცენზია, თუმცა მკითხველისათვის უცნობმა ნაწარმოებმა უკვე გამოიწვია ბევრის უკმაყოფილება. ასე რომ, წიგნი ჯერ არსად ჩანს, თუმცა მის ირგვლივ სკანდალები ნელ-ნელა მწიფდება. გავრცელებული ინფორმაცია, რომ ჯონსმა რო-



მანის შექმნას ექვსი წელი მოანდომა და 2008 წლის იანვარში ამერიკულ გამოცემლობა ballantine books-ს მიაკითხა. რომანის გამოცემაზე თანხმობაც მიიღო და მაღალი ჰონორარის მოლოდინში სალმან რუშდის მსგავსად მუსულმანური სამყაროს რისხვა დაიმსახურა. კონტრაქტის თანახმად, წიგნის პრეზენტაცია 12 აგვისტოს უნდა შემდგარიყო, თუმცა უეცრად გამოცემლებმა „მედიანას მარგალიტების“ გამოცემაზე უარი განაცხადეს. გავრცელებული ინფორმაციით რომანი, მუშაშენის

ცოლის, აიშას ცხოვრების ისტორიას ასახავს, რაც მუსულმანთა განცხადებით საინტერესო იქნება. თუმცა, ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია მათთვის შერი ჯონისათვის არასასურველი განაჩენი გამოეტანათ. ამერიკული გამოცემლობის ballantine books-ს წარმომადგენელთა განცხადებით, ნაწარმოებში მუსულმანური სამყაროსათვის შეურაცხყოფელი ეპიზოდებია ასახული და სწორედ ეს გახდა კონტრაქტის შეწყვეტის მიზეზი. ამ თითქოსდა ჩვეულებრივ ისტორიას გამოხმაურება საკმაოდ დი-

დი ხნის მანძილზე არ მოჰყოლია. თუმცა გასულ კვირას The Wall Street Journal-ში გამოქვეყნებულმა სტატიამ სათაურით „მოჰამედი დღემდე ხელშეუხებელია“ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა გამოუქვეყნებელი, თუმცა უკვე სკანდალური რომანი. სტატიის ავტორი, ასრა ნომანი იმ მექანიზმზე საუბრობს, რომელიც მუსულმანურმა სამყარომ შეასანიშნავად აამუშავა. მისივე მოსაზრებით, გამოცემლობის წარმომადგენელთა მიერ კონტრაქტის შეწყვეტის მიზეზი არაა მუსულმანები, არამედ რეცენზიის ავტორი, ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორი, დენიზ სპელბერგი გახდა. შუასაუკუნეების ისლამის სპეციალისტს გამოცემლობასთან დადებული პირობის თანახმად, მცირე ნაშრომი უნდა დაენერა, თუმცა ამის ნაცვლად შერი ჯონსმა მკაცრი კრიტიკა მიიღო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მკვლევარმა გამოცემლობას წერილი მისწერა, რომლის შინაარსიც დღემდე გასაიდუმლოებულია. ასეა თუ ისე, 12 აგვისტოს დაგეგმილი წიგნის პრეზენტაცია გადაიდო. თუმცა არა დიდი ხნით, საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში რომანს უკვე სულ სხვა გამოცემლობა Gibson Square გამოსცემს. თუმცა მკითხვე-

ლისათვის, ისევე როგორც მთლიანად მუსულმანური სამყაროს წარმომადგენელთათვის ამ დეტალს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მკვლევართა მტკიცებით გამოცემლობა ballantine books-მა შესანიშნავი შანსი დაკარგა ბესტსელერის ექსკლუზიური გამოცემელი გამხდარიყო, მაგრამ ამგვარ მოსაზრებებზე აღნიშნულ გამოცემლობაში კომენტარებს არ აკეთებენ. Gibson Square-ს წარმომადგენლის, მარტინ რინის განცხადებით, შერი ჯონის რომანის პრეზენტაცია ნოემბერში შედგება. რომანმა, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა და რომელიც მოჰამედის ცოლის, აიშას ისტორიას და ფართულ ვნებებს ასახავს, ავტორს ერთი ზიანი უკვე მიაყენა. მისი ბიზა უცნობმა პიროვნებებმა გადაწვეს. ცნობილი ხდება, რომ ავტორი იმ მომენტისათვის სახლში არ იმყოფებოდა და არავინ დაშავებულა. ცნობილია, რომ საქმის ვითარებაში გასარკვევად სამართალდამცავი ორგანოები უკვე ჩაერთნენ. ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელმა რომანმა შერი ჯონსს უკვე მოუტანა ზიანი, წიგნის პრეზენტაციის შემდეგ კი ავტორმა შესაძლოა სალმან რაშდის ბედიც გაიზაროს და დიდი ხნით დაემალოს მის პოტენციურ მკვლევებს.

დაბვიდობა იარაღთან ფირზე ბავლით

ზაფხულის კინოსკოლის პროექტში სარეჟისორო ფაქულტეტის ათი სტუდენტი მონაწილეობდა

ნა ჰეკია

კინოს ფირზე იღებენ – ასე იყო ლუმიერების დროს და ასე იქნება მუდამ, ვიდრე კინოხელოვნება იარსებებს. უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრმა სტუდენტმა კინოსარეჟისორო ფაქულტეტი ისე დაამთავრა, არათუ ფირზე, ვიდრე გადაღების საშუალებაც არ მისცემია. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ამ საკითხისადმი გაცილებით სერიოზული მიდგომა. მოიძებნა საშუალებაც – ზაფხულის კინოსკოლა, რომლის პროექტის ფარგლებშიც ათ სტუდენტს ფილმის ფირზე გადაღების საშუალება მიეცა თემაზე “მშვიდობით იარაღი”.

ზაფხულის კინოსკოლა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირთან არსებული კომპანია “სინეტეკისა” და “კოდაკის” ერთობლივი პროექტია. “კოდაკმა” სკოლა უსასყიდლოდ მოამარაგა ფირით, სკოლა კი ათი საუკეთესო სცენარის მქონე სტუდენტი რეჟისორი შეარჩია. ამ ეტაპზე უკვე მზადაა ხუთი ფილმი, დანარჩენების გადაღებებიც უკვე დასრულდა. ამის შემდეგ კი ზაფხულის კინოსკოლა პროექტის მეორე ეტაპს დაიწყებს – კიდევ ერთი ათეული და კიდევ ერთი გამოცდილება.

მერაბ გეგეჭკორი, ზაფხულის კინოსკოლის პროექტის პრესმდივანი: “დაახლოებით 15 წელია, კინოსარეჟისორო ფაქულტეტის სტუდენტები სწავლას ისე ამთავრებენ, რომ ფირთან შეხებაც არ აქვთ. ეს იგივეა, მხატვარს საღებავი და ფუნჯი არ ჰქონდეს. სწორედ ფირთან მუშაობით შეიძლება გამოცდილების მიღება და კინოგადაღების ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსებში გარკვევა. ამ დროის განმავლობაში ფირი ვიდეოგადაღებებში ჩაანაცვლა, რაც არაპროფესიონალურია, ამ უმეტეს სტუდენტებისთვის გამოცდილების მისაღებად.”

საინტერესოა ისიც, რომ ამ პროექტში მხოლოდ კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის სტუდენტები კი არა, სამხატვრო აკადემიის კინომხატვრობის ფაქულტეტისა და კონსერვატორიის სტუდენტებიც არიან ჩართული. ანუ ეს



“ბექუს” გადაღებებისას გივი ჩუგუაშვილი.

არის კომპლექსური პროექტი, რომელიც კინოგადაღების ყველა ნიუანსს მოიცავს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმოჩნდა სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის, რომლებსაც თითქმის არ ჰქონდათ პრაქტიკული გამოცდილება. “სამივე სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა, რომლებიც ერთად მუშაობდნენ, უკვე იმდენად კარგად გაიცნეს ერთმანეთი და იმდენად დაახლოვდნენ პროფესიონალურად, რომ არ არის გამორიცხული, მომავალში, პროექტის მიღმა გააგრძელონ თანამშრომლობა. ისინი უკვე იც-

ნობენ ერთმანეთის სტილს, რაც საუკეთესო შედეგის გარანტი უნდა გახდეს”, - ამბობს მერაბ გეგეჭკორი.

ვიდრე სტუდენტები უშუალოდ გადაღებას შეუდგებოდნენ, კომპლექსური მოსამზადებელი ეტაპი გაიარეს. სცენარის დამუშავებაში გამოცდილი სცენარისტები დაეხმარნენ, იმუშავეს ტექნიკასთან, ჰქონდათ პრაქტიკა მონტაჟსა და გახმოვანებაში. ჩატარდა რამდენიმე ლექცია კინოს შესახებ, ნახეს კლასიკური ფილმები და მხოლოდ ამის შემდეგ დადგა გადაღების პერიოდი.

გადაღებები თბილისის გარდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მიმდინარეობდა, მათ შორის დავით გარეჯში, უშგულში, რუსთავესა და კოჯორში. როგორც მერაბ გეგეჭკორი იხსენებს, ადგილობრივი მოსახლეობა გამოუცდელ რეჟისორებს ყველანიარადა ეხმარებოდა და ამხნევებდა, ხოლო როდესაც ერთ-ერთ ფილმში ჯარისკაცების სცენა გახდა საჭირო, სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელობა ამოუდგათ მხარში – ჯარისკაცებიც “ათხოვეს” და იარაღთან მოპყრობაც ასწავლეს. მერაბ გეგეჭკორი თავს იკავებს ფილმების შინაარსის მოყოლისგან.

ან, თუმცა არ მალავს, რომ ყველა სცენარში ერთი განწყობა ჩანს – ახალგაზრდა თაობა მშვიდობას ირჩევს. “პროექტის თემატიკა ჯერ კიდევ გაზაფხულზე, ანუ საომარი პროცესების დაწყებამდე შევარჩიეთ. ეს სწორედ ის თემაა, რომელიც მშვიდობის პერიოდშიც არ უნდა მივივიწყოთ. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს ომის მიმართ ძალიან საინტერესოდ და სწორად ჩამოყალიბებული განწყობა აღმოაჩნდათ. ერთ-ერთი გადაღება ომის პერიოდს დაემთხვა. რუსთავეთ ვიღებდით და უცებ ჩვენს თავზე რუსულმა თვითმფრინავმა გადაიფრინა, რამდენიმე წამში კი თბილისის საავიაციო ქარხანა დაბომბა. ამის მიუხედავად გადაღება არ შეგვიწყვეტია, ბავშვებიც უფრო საბრძოლოდ განწყვნენ”, - იხსენებს მერაბ გეგეჭკორი.

მარიამ ხაჭვანი, პროექტის მონაწილე: “ჩემი ფილმი პირობითად “ბექუს” ჰქვია და სვანური სისხლის ალების უძველეს ადათს ეხება. მე თავად სვანი ვარ და კარგად ვიცი, რას ნიშნავს ეს ტრადიცია. ფილმში ვსვამ კითხვას – რამდენად საჭიროა ასეთი წესის არსებობა და მსურს მაყურებელმა იფიქროს, თავად როგორ მოიქცეოდა ასეთ შემთხვევაში. ფილმის სიუჟეტი რეალურ ამბავზეა დაფუძნებული, მისი მთავარი გმირი კი დღესაც ცოცხალია. მიხარია, რომ გარდა იმისა, რომ ფილმის ფირზე გადაღების საშუალება მომეცა, გამოცდილ მსახიობებთან, გივი ჩუგუაშვილთან და ნენდი ძიძავასთან მომიხია მუშაობა. ეს ჩემთვის დიდი გამოცდილება იყო.

აიკო დოლიძე, პროექტის მონაწილე: “ჩემი ფილმის გმირები მამა-შვილის ასაკის ორო პერსონაჟია. ისინი მთელი ფილმის განმავლობაში სანგარში სხედან და ერთმანეთთან დიალოგით ცდილობენ აფხაზეთის ომის გახსენებასა და მის შედეგებზე საუბარს (მათ როლებს დათო როსტომაშვილი და დათო კიკვაძე ასრულებენ). ზუსტად მიჭირს ფილმის ფანრის განსაზღვრა – ფსიქოლოგიური დრამაცაა და თითქოს სურეალისტურიც. იმეძია, ამის გარკვევას მაყურებელი უკეთესად შეძლებს.”

კომედია ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურზე, კიდევ ცოლი, ქმარი და დურაკები...

ძმებ კონენების ფილმები შეიძლება ათი წინასწარ კატეგორიულად დავყოთ, მაგრამ ისინი ძირითადად ორ ტიპს შეეხებიან: კომედია და არაკომედია. “მალალ” საზოგადოებაში მიღებული კონენების სერიოზული ფილმების სიყვარული, ხოლო დანარჩენი უარობად არის მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ კონენები გენიალური კომედიაგრაფები არიან. გარდა ამისა, ისინი გენიალური კინემატოგრაფებიც არიან. ძმების გადაღებული ფილმი “მიღერის გაზაფხულები” ან მიუზიკლი “ო, ძმაო, სად ხარ შენ” – ყოველთვის სრულყოფილია და ბოლო კადრამდე ხარისხიანი, მაგრამ როცა ეს ფილმი შეწყვეტს ჟანრში თავს ან ჩამოყრდნობა კონენების ჩვეული შავი იუმორი, ოდნავ ჩვეულებრივ ფილმად გადაიქცევა. მაგალითად, “ნაკითხისთანავე დანეით” - კომედია, თუმცა უსიხარული, გულსხამგამირავი და არაიუმორისტული. ამის მიუხედავად ნამდვილად ღირს ძმებ კონენბ-

ის ახალი ფილმის ყურება, თუნდაც ფრენის მაკდორმანის გულისთვის. იგი კარგად და საკმაოდ კარგადაც თამაშობს ქალის როლს, რომელიც მარტოობისგან თავის დასაღწევად მამაკაცებთან გაცნობის საიტს მიმართავს. ქალს, რომელსაც უკვე აღარ შეუძლია ჩაიცვას გულახდილი ტანსაცმელი, რამდენიმე პლასტიკური ოპერაციისა და ლიპოსაქციისთვის თანახმაა მთელი სამყარო მსხვერპლად გაიღოს (და ასეც მოიქცევა).

ფილმის ყურება ბრედ პიტის გამოც ღირს – გესლიანი მსახიობისთვის, რომელმაც როგორც იქნა თავისი იდეალური როლი იპოვა. იგი დაკუნთული მამაკაცის როლს ასრულებს, რომელსაც სპორტკლუბიდან გამოავლენენ. რად ღირს ლეგენდარული ჯორჯ კლუნიის მიერ შესრულებული როლის ყურება – მოწესრიგებული სიმპატიური მამაკაცი საყვარელთან გაიქცევა, თუმცა ცხოვრებისეული სირთულეებისა და გამოცდილების შემდეგ, მი-

ტოვებულ ცოლთან დარეკავს და ცოტაც და აქვითინდება: „დედაა-დედაა, დედიკო, მიშველე”. ეს კომიკურია, მაგრამ არც ისე სასაცილო, რადგან საზარელია.

ყველა ყველაზე სინავეს, საიდუმლოებები წყვიტავენ საიდუმლოდ ყოფნას, მოწესრიგებული ცხოვრება ინგრევა, შემთხვევითობა სარგებლობს შემთხვევითობით, იდიოტიზმი იდიოტიზმით... ეს ყველაფერი იმით ხდება, რომ ისტორიაში, თავისი დაკარგული მეშუალებით უამრავი ადამიანი აღმოჩნდა ჩარეული და კიდევ იმით, რომ ამ არეულობაში გონიერი განმარტების მიცემა უკვე შეუძლებელია.

კონენები სიუჟეტის საინტერესო მხარეს ამჟღავნებენ, რომლის დეტალები არცოდნის შემთხვევაშიც შეიძლება იგი ჯაშუშურ თრილად მოგეჩვენოთ. მაგრამ ჩვენ ვხედავთ როგორ და რა მოტივით ხდება ყველაფერი, ქაოსი ადამიანურ სისუსტეშია, ლოგიკა იმაში მარცხდება, რომ ვილაც დურაკია.

ჩვენი საქმიანობის პირობიტიტი ქალის ჯანმრთელობაა !

თავი ღირსეობით სარკვევი ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებაინი სიმსივნეებისგან !!!

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩატარდება 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური განისჯვა და პაპ-ტესტი ჩატარდება 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, “გაეროს” მოსახლეობის ფინანსების მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით. გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩანერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.


მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, “სამების” ეკლესიის უკან)
ტელ.:: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;
ელ.-ფოსტა usdc@gol.ge

ნობელიანტი ლიტერატურაში ოქტომბერში გამოვლინდება

შვედური სამეფო აკადემიის უშუალო მდივანმა ჰორას ენგდალმა ის დღე დაასახელა, როცა ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მფლობელი გამოვლინდება. 2008 წლის 9 ოქტომბერს სტოკჰოლმის დროით პირველ საათზე პრემიის გამარჯვებული დასახელდება. მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის ფულადი ჯილდო 10 მილიონ შვედურ კრონს შეადგენს, რომელიც 1,42 მილიონი დოლარის ან 1,02 ევროს ექვივალენტია. ლიტერატურული პრემიის ლაურეატის ვინაობა ცერემონიის ბოლომდე საიდუმლოა - ეს პრემიის ტრადიციული ინტრიგია.

სააგენტო France Presse-მა ლიტერატორების სია გამოაქვეყნა, რომლებსაც სტოკჰოლმის წიგნისა

და საგაზეთო სფეროში, ასევე ბუკმეკერულ დაწესებულებებში პრემიის დამაჯერებელ კანდიდატებად მიიჩნევენ. ესენი არიან: ფრანგი ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო და ივ ბონფუა, კორეელი კო იუნი, ჰოლანდიელი სეის ნოტეზუმი, პერუელი მარიო ვარგას ლოსა, ამერიკელი ფილიპ პოტი და ჯოის კეროლ ოუტსი, იტალიელი ანტონიო ტაბუკი და კლოდ მაგრისი, ჩეხი არნოსტ ლიუსტიგი, იაპონელი ჰარუკი მურაკამი, შვედი ტუმას ტრანსტრემერი, მექსიკელი კარლოსფუენტესი, კანადელი მარგარეტ ეტვუდი, იზრაელიელი ამოს ოზი, ავსტრალიელი ლეს მიური, ბრიტანელი ჯონ ეშბერი და დანიელი ინგერ კრისტენსენი. უამრავი ზემოთხსენებული ლიტერატორი, წლიდან წლამდეა მოხსენე-



ბული ნობელის პრემიის კანდიდატთა სიაში. აღსანიშნავია, რომ 2007 წლის ლაურეატის დორის ლესინგის სახელი, არც ერთ სიაში არ ყოფილა ნახსენები.

დორის ლესინგი 1919 წლის 22 ოქტომბერს პერსიაში, ქალაქ კერმანში დაიბადა. 1925 წელს მომავალი მწერლის ოჯახი სამხრეთ როდეზიოში (ამჟამად ზიმბაბვე) გადავიდა საცხოვრებლად. 15 წლამდე დორისი კათოლიკურ სკოლაში სწავლობდა, თუმცა არ დაუმთავრებია. არავითარი ფორმალური განათლება მას არ მიუღია. ახალგაზრდობაში იგი აღმზრდელად, მდივნად და ურუნალისტად მუშაობდა. 1949 წელს იგი აფრიკიდან გაემგზავრა და ლონდონში დასახლდა. ლესინგმა წერა 1949 წელს დაიწყო. მისი სადებიუტო რომანს The Grass is Singing ეწოდა. 1952-1969 წლებში მან ნახევრადბიოგრაფიული სერია გამოაქვეყნა, რომელიც ხუთი რომანისა და მოთხრობების კრებულისგან შედგებოდა, სახელწოდებით

The Children of Violence. 1979-1983 წლებში ფანტასტიკური რომანების სერია The Canopus in Argos: Archive Series გამოაქვეყნა. მწერლის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანია The Golden Notebook-ი („ოქროს დღიური“), რომელიც 1962 წელს გამოიცა და ფემინისტური ლიტერატურის კლასიკად არის მიჩნეული. 30 სექტემბერს, ჰორას ენგდალმა სააგენტო Associated Press-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ამერიკულ ლიტერატურას „შეზღუდულად“ და „იზოლირებულად“ მიიჩნევს. ასეთი შენიშვნის შემდეგ ინგლისურენოვანმა მიმომხილველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ არ ღირს ამ წელს გამართულ ნობელის პრემიის დაჯილდოებაზე ამერიკელი ავტორები მოიაზრებოდნენ..

ვენეციაში 52-ე

საერთაშორისო ფესტივალის გაიხსნა

გასულ კვირას ვენეციაში თანამედროვე მუსიკის 52-ე საერთაშორისო ფესტივალის გახსნის ცერემონია გაიმართა. ბენალეს ფარგლებში გუნდის თანხლებით, საოპერო თეატრ „ლა ფენიჩეს“ ორკესტრმა იგორ სტრავინსკისა და ლუიჯი

ნონოს ნაწარმოებები შეასრულა. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელად, რომელსაც „მომავლის ფესვი“ ეწოდა, იტალიელი მავეტრო ლუკა ფრანჩესკინი დასახელდა. მთლიანად მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში 77 კომპოზიტორი,

13 დიდი ანსამბლი, სამი ორკესტრი და 8 შემსრულებელი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც 34 კონცერტში, მასტერ-კლასსა და სემინარებში მიიღებენ მონაწილეობას. ორგანიზატორების ჩანაფიქრით, ფესტივალის „ტარდება მათთვის, ვისაც

ესმის მუსიკა და მათთვის, ვინც ამ მუსიკას უსმენს“. პარასკევს მუსიკალურმა ფესტივალმა ცნობილ გერმანელ კომპოზიტორ-ავანგარდისტს, 73 წლის ჰელმუტ მაჰლმანს უმასპინძლა. 5 ოქტომბერს თეატრის „ლა ფენიჩ-

ეს“ სიმებიანი კვარტეტის დებიუტი გაიმართა. ფესტივალის გრანდიოზული დახურვა 18 ოქტომბერს არის დაგეგმილი, ამ დღეს სან მარკოს მოედანზე ხუთი სასულე ორკესტრი ხუთი ქვეყნის ეროვნულ ჰიმნს შეასრულებს.

შილერი დამნაშავეა?!

გერმანიის სახელმწიფო საგადასახადო ცენტრმა ქალაქ ვაიგსდორფ-კობლიცში მდებარე შილერის სახელობის საშუალო სკოლის მისამართზე გააგზავნა ქვიშის თხოვნით, რომ გადაიხადონ გადასახადი ცნობილი გერმანელი პოეტის, ფრიდრიხ შილერის მიერ ტელევი-

ზიის ანტენის გამოყენებისთვის. შილერის მიერ, რომელიც 1805 წელს გარდაიცვალა, სატელევიზიო ანტენის ხმარებისთვის ისინი ყოველთვიურად 17 ევროსა და 3 ცენტს გადახდას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მიმართ გამოყენებული იქნება ფინანსური საჩე-

ცია. შილერის სახელობის სკოლის დირექტორმა საგადასახადო ცენტრის მისამართით დაწერა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ „ადრესატს აღარ აქვს შესაძლებლობა მოუსმინოს რადიოს ან უყუროს ტელევიზორს“. ამის შემდეგ, სკოლამ მეორე ცნობა მიიღო, რომლის თა-

ნახმადაც ჰერ შილერს შუძლია ანტენის ხმარებისთვის არ გადაიხადოს თანხა, თუ დაამტკიცებს, რომ არ ფლობს ტელე - ან რადიომიმღებებს. მაშინ სკოლის დირექტორმა მიხაელ ბინდერმა დაწერა კიდევ ერთი წერილი საგადასახადო ორგანოს მისამართით, რომელსაც თან

ახლდა პოეტის ბიოგრაფია და აღნიშნული იყო, რომ ჰერ შილერმა სამყარო დიდი ხნის წინ დატოვა. საგადასახადო ორგანომ სკოლას ბოდიში მოუხადა და აღნიშნა, რომ დაშვებული იყო არასასიამოვნო შეცდომა, რომელიც უახლოეს მომავალში გამოსწორებული იქნება.

საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის პროფესორი სიმონ გორალაშვილი ბთაშაზოზი

მთელი რიგი დაავადებების მკურნალობას ქიმიური პრეპარატების გამოყენების გარეშე მსოფლიოში წლების მანძილზე გამოცდილი მეთოდებით:

სუ ჯოკ თერაპია, მანუალური თერაპია, ჩინური აკუპუნქტურა, პირუდოთერაპია, ფარმაკოპუნქტურა, აურიკულითერაპია, ლაზეროპუნქტურა, ტვისტთერაპია, სილვა მეთოდი და სხვ.

თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა ამ მეთოდების გამოყენებით განთავისუფლდეთ ისეთი პრობლემებისგან, როგორებიცაა ალერგია, კვანძოვანი ჩიყვი, საკვერცხეების კისტა, ნევროზი, დეპრესია, უნებლიე მოძრაობები, ნერვული ტიკები, ნევრიტები და ნევრალგიები (სამწვერა, სახის, საჯდომი ნერვის და სხვ.). ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, დისკის თიაქარი, სქოლიოზი, ართრიტი. შარდის შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა. სიელმე, მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების დაქვეითება. კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ეროზია-წყლულოვანი დაავადებები, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, თრომბოფლებტიები, ბრონქიტი, ბრონქული ასთმა, თმის ცვენა და სხვა მრავალი დაავადება.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20 (ვაკე, "სამების" ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42;
ტელ./ფაქსი 25 39 38; მობ: 899 55 28 87
ელ.-ფოსტა usdc@gol.ge

თბილისი. კანდელაკის №1
ტელ/ფაქსი: 38 14 12
მობ: 899 62 32 32, 877 76 62 62

შავი ზღვის პარსკვლავი
გონიოში
ხასტუმრობს ტიპის საცხოვრებელი კომპლექსი ხარბული მწვრავსტრუქტურით

სპორტი

მსოფლიო ჩვიანი!



AFP © 2008

პირველი ბავშვი

მსოფლიო თასი, იგივე გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი, დიუდოს სამყაროში ერთ-ერთ პრესტიჟულ და სანახაობრივ ასპარეზობად ითვლება. აქ საკუთარი ძალის მოსინჯვის უფლება მხოლოდ საუკეთესოებს აქვთ. მსოფლიო თასი ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. საქართველო ორი წლის წინაც საუკეთესო იყო. ასე რომ, ჩემპიონის ტიტული შენარჩუნებულია.

“ყველა მეტოქე ძლიერი იყო - მსოფლიო გუნდურ ჩემპიონატზე სუსტებს არც ეძახიან. კორეა, ბრაზილია, უზბეკეთი... ჯგუფში სწორედ მათთან მოგვიხდა ურთიერთობის გარკვევა, ფინალში კი უზბეკებს

შევეხვით და მოვიგეთ. ძიუდოს ქართულმა სკოლამ დაამტკიცა, რომ უძლიერსია”, - ფინალში უზბეკებზე გამარჯვების შემდეგ ამბობდა ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი.

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიო ჩემპიონატში საასპარეზოდ ქალთა და ვაჟთა რვა-რვა ნაკრები დაუშვა. ვაჟთა გუნდებიდან ორი გუნდით იასპარეზეს ევროპისა და აზიის ძიუდოს კავშირება. აფრიკის, პანამერიკისა და ოკეანის ძიუდოს კავშირები კი თითო ნაკრებით წარდგნენ.

ბებერი კონტინენტიდან, საქართველოს გარდა, უძლიერესი გუნდის სახელისთვის იბრძოდა ორი წლის წინათ ამავე

რანგის ჩემპიონატზე საქართველოსგან ფინალში დამარცხებული რუსეთის ნაკრებიც.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრებმა იაპონიის, ალჟირის, ახალი ზელანდიის, ბრაზილიის, კორეის, რუსეთისა და უზბეკეთის რჩეულ ნაკრებებს შორის მსოფლიო გუნდური ჩემ-

პიონატი მოიგო. საგულისხმოა, რომ მასპინძლებმა საკუთარ კედლებში საპრიზო ადგილიც კი ვერ დაიკავეს - იაპონელებმა ტურნირი მეხუთე შედეგით დაასრულეს. ძიუდოს ფუძემდებლებს საამაყოდ დარჩათ ქალთა ნაკრები, რომელმაც ფინალში ფრანგების ნაკრები დაამარცხა.

გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი ტოკიო, იაპონია. 3-6 ოქტომბერი

1. საქართველო (ნესტორ ხერგანი - 60 კგ; მინდია ხომიზუერი - 66; ზაზა კედელაშვილი - 73; დავით ქევიციანი - 81; ვარლამ ლიპარტელიანი - 90; ირაკლი ცირეკიძე, ლევან ჟორჯოლიანი - 100; ნოდარ მეტრეველი, ლაშა გუჯუჯუაიანი - +100)
2. უზბეკეთი
3. რუსეთი
3. ბრაზილია

Top 14-დან ევროტასაზამდე შესვენებაა

საფრანგეთის უმაღლესი დონის სარაგბო ჩემპიონატი TOP 14-ის მე-7 ტურში დავით ზირაქაშვილის “კლერმონა” “ბურგონი” სტუმრად 30:23 დაამარცხა და გაათამაშების ცხრილში მეოთხე საფეხურამდე აღზევდა.

ბოლო ხანებში კლუბის ხელმძღვანელობა ზირაქაშვილს გუნდის ძირითად შემადგენლობას ანდობს და შედეგსაც იმკის. “ბურგონი” თამაშისას ზირაქაშვილი 57-ე წუთზე კლერმონაში შედიოდა და მისი მძიმე დაზარალებული ტარდავითის სტუმრებს ორი ლელო ჰქონდათ გატანილი. ახლოს იყვნენ პრემიულური ქულის მოპოვებამდეც, მაგრამ იქამდე ერთი ნახევარი დააკლდა - აქამდე გატანილი ორი ლელოს მხოლოდ ერთი შემატეს. “ბურგონი” გამარჯვების შემდეგ “კლერმონს” 7 თამაშში 20 ქულა დაუგროვდა და მეორე ადგილზე მყოფ “ტულუზს” ორი ქულით ჩამორჩება.

კიდევ ერთი ქართველი, რომლის გუნდმაც მე-7 ტურში გამარჯვება იზეიმა, ბრიველი დავით ხინჩაგაშვილია. ხინჩაგაშვილმა და კომპანიაში “მონ დე მარსანი” საკუთარ მოედანზე 53:11 გაანადგურა. ქართველმა მორაგბემ თითქმის სრულად ითამაშა - მე-8 წუთზე “ბრივის” პირველმა ნომერმა ტრაემა მიიღო და მწვრთნელმა მინდორზე ხინჩაგაშვილი შეუშვა. ამ დროისთვის მასპინძლებს ერთი ლელო ჰქონდათ გატანილი. მე-9 და მე-10 წუთებში კიდევ ექვსჯერ დააღლეოვეს. ლელოების სიუხვის წყალობით “ბრივმა” მოგებისთვის განკუთვნილი 4 ქულასთან ერთად პრემიულური ქულაც მიითვალა. 7 ტურის შემდეგ 14 ქულით “ბრივი” სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზეა.

“კლერმონისა” და “ბრივისგან” განსხვავებით, TOP 14-ის ქართული ლეგიონის დანარჩენი წარმომადგენლებისთვის მეშვიდე ტური წარმადობელი გამოდგა.

აქვსენტი გორგაძის “კასტრი” საკუთარ მოედანზე “ტულუზთან” 10:28 დამარცხდა. გორგაძე განაცხადში იყო და მოედანზე 52-ე წუთზე შევიდა. ამ დროისთვის “ტულუზს” საქმე მოთავებული ჰქონდა - 28:3 იგებდა. “კასტრი” 8 ქულით სატურნირო ცხრილის ბოლოსწინა ადგილზეა.

გია ლაბაძისა და დავით ქუბიაშვილის “ტულონი” სტუმრად 12:37 დამარცხდა “პერპინიანთან”. ქუბიაშვილმა ბოლო 20 წუთი ითამაშა, ლაბაძე კი განაცხადშიც არ იყო. “ტულონს” 7 თამაშში შემდეგ 13 ქულა აქვს და მე-10 ადგილზე ჩამოქვეითდა. არადა, ჩემპიონატის დაწყებამდე ტულონელებს ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევდნენ. “სტად ფრანსესთან” გასულით მატჩში დამარცხდა გოდერძი შვე-

ლიძის, გორგი მჭედლიშვილისა და ბექა შეყლაშვილის “მონტობანი” - 16:34. ქართველთაგან კი მხოლოდ შევლიძემ ითამაშა. “მონტობანი” 14 ქულით გაათამაშების ცხრილის მეცხრე საფეხურზეა.

სრული კრახი იწვნია მამუკა გორგაძის კლუბმა. საფრანგეთის სახელმწიფო მათამაშე დიმიტრი იაშვილის “ბიარცითან” “მონპელიე” 3:46 დამარცხდა. გორგაძემ მოედანზე 55 წუთი დაჰყო. დიმიტრი იაშვილმა ტრაემის გამო მატჩი გამოტოვა. “მონპელიე” 18 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილზეა.

მე-7 ტურის ნერტილი დაუსვა ირაკლი გორგაძის “დაქსმა”, რომელმაც “ბიონის” 27:17 მოუგო. ახლა TOP 14-ში სამკვირიანი შესვენებაა, რადგან სარაგბო ევროტასების დრო მოვიდა და ქართველთა კლუბებიც ევროარენაზე გადინაცვლებენ.

ბილეთები 8 ოქტომბრიდან გაიყიდება

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მიერ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში 11 ოქტომბერს კვიპროსთან და 15 ოქტომბერს ბულგარეთთან გასამართ მატჩებზე დასასწრები ბილეთები 8 ოქტომბრიდან თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ათ სალაროში გაიყიდება.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური იტყობინება, გულშემამტკივრებს ბილეთების შეძენა შეეძლებათ ყოველდღე 20.00 საათამდე.

I სალაროში გაიყიდება დასავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-8 და მე-10 სექტორის ბილეთები (ფასი 20 ლარი), ასევე დასავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-5 სექტორის ბილეთები - ფასი 10 ლარი.

II სალაროში - დასავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-6 და მე-12 სექტორის ბილეთები (ფასი 10 ლარი) და სამხრეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-2 სექტორის ბილეთები - ფასი 5 ლარი.

III სალაროში - სამხრეთ ტრიბუნის პირველი იარუსის პირველი, მე-2, მე-3, მე-17 და მე-18 სექტორის ბილეთები - ფასი 5 ლარი.

IV სალაროში - სამხრეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-3, 28-ე და 30-ე სექტორის ბილეთები - ფასი 5 ლარი.

V სალაროში - სამხრეთ ტრიბუნის მეორე იარუსის პირველი, მე-4 და 29-ე სექტორების ბილეთები, ასევე ჩრდილოეთ ტრიბუნის პირველი იარუსის მე-11 სექტორის ბილეთები. ყველა ბილეთის ფასია 5 ლარი.

VI სალაროში - აღმოსავლეთ ტრიბუნის პირველი იარუსის მე-15 სექტორისა და აღმოსავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის 23-ე და 24-ე სექტორების ბილეთები - ფასი 10 ლარი.

VII სალაროში - აღმოსავლეთ ტრიბუნის პირველი იარუსის მე-14 სექტორის ბილეთები - ფასი 10 ლარი. ასევე, აღმოსავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის 21-ე და 22-ე სექტორების ბილეთები - ფასი 7 ლარი.

VIII სალაროში - აღმოსავლეთ ტრიბუნის პირველი იარუსის მე-16 სექტორისა და აღმოსავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-20 და 27-ე სექტორის ბილეთები. ფასი 7 ლარი.

IX სალაროში - აღმოსავლეთ ტრიბუნის პირველი იარუსის მე-13 სექტორისა და აღმოსავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსის 26-ე სექტორის ბილეთები - ფასი 7 ლარი. ასევე, ჩრდილოეთ ტრიბუნის მეორე იარუსის მე-19 სექტორის ბილეთები - ფასი 5 ლარი.

X სალაროში - ჩრდილოეთ ტრიბუნის პირველი იარუსის მე-12 სექტორისა და ჩრდილოეთის ტრიბუნის მეორე იარუსის მე-14 და მე-16 სექტორების ბილეთები - ფასი 5 ლარი.

ვილკინსონს მორიგი ოპერაცია გაუკეთეს

ტრავმებით გატარებული ბრიტანული რაგბის “ოქროს ბიჭა” ჯონი ვილკინსონმა, როგორც იქნა, ნატკენი მხარი მოირჩინა, მოედანზე დაბრუნდა და უმაღლესი ტრავმა მიიღო - ამჯერად მუხლის.

გუშინ ვილკინსონი, ვინ იცის უკვე მერამდენედ, დაწვა საოპერაციო მაგიდაზე. ექიმების თქმით, ოპერაციამ წარმატებულად ჩაიარა, მაგრამ, მორაგბის გამოჯანმრთელებისთვის საჭირო დროის დაკონკრეტებისგან მაინც ყველა თავს იკავებს.

ცნობილია მხოლოდ ის, რომ ჯონისთვის წლებანდელი სეზონი უკვე დასრულებულია. არადა, წლის ბოლომდე ინგლისის ნაკრებს სამი უმნიშველი მატჩი დარჩა ჩასატარებელი - ავსტრალიასთან, სამხრეთ აფრიკასა და ახალ ზელანდიასთან.

„ვილიარელს“ ნიჰათი ვერ დაეხმარება

თურქეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ესპანური “ვილიარელის” თავდასხმელი ნიჰათი ისევე დაშავდა და გუნდს დაახლოებით ერთ თვეს ვერ დაეხმარება.

ნიჰათმა ფეხი იტკინა და, საუკეთესო შემთხვევაში, გუნდს ოთხ კვირაში დაუბრუნდება. შევახსენებთ, რომ ნიჰათმა ტრავმა გასულ ევროპის ჩემპიონატზე მიიღო, რის შემდეგაც ის ახლახან დაუბრუნდა მოედანს, მაგრამ ისევ დაშავდა.

ვენგერი კინს დიდ მომავალს უნინასწარმეტყველებს

